EUMM

დამკვირვებელი

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა .... გამოცემა #2 • აგვისტო 2016

ისინი ამბობენ...

ეს ნამდვილი რეგიონალური ოფისია

2008 წლის შობის დღესასწაულის შემდეგ ზუგდიდის რეგიონალური ოფისი მეუნარგიას ქუჩაზე გახდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სახლი დასავლეთ საქართველოში.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას საქართველოში სამი სრულად დაკომპლექტებული ოფისი გააჩნია. ეს არის ბაზები, საიდანაც ტარდება ოპერაციები და ხორციელდება კოორდინაცია პარტნიორებთან და პროცესში ჩართულ მხარეებთან. აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთისა და გორის რეგიონალური ოფისები აწარმოებენ საქმიანობას აღნიშნულ რეგიონში და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ.

ქვეყანის დასავლეთ ნაწილში, ზუგდიდის რეგიონალური ოფისის საქმიანობა მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს. ზოგიერთის თქმით, "ეს არის ნამდვილი რეგიონალური ოფისი", თუნდაც იმიტომ, რომ მისი ადგილმდებარეობა დედაქალაქიდან შორსაა; გზა დედაქალაქ თბილისამდე ხუთ საათს იკავებს.

გიგანტური ტროპიკული საუნა

ზუგდიდი ქალაქია, სადაც ხალხი საყიდლებზე დადის ბაზარში და არა სუპერმარკეტში. ადგილობრივი ფერმერები ხილს და ბოსტნეულს ბაზარში ყიდიან, სადაც მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელია საუკეთესო და იაფი პროდუქტების შეძენა.

სოფლის მოსახლეობისთვის, ზუგდიდში ჩასვლა რეალური მოგზაურობაა მჩქეფარე ქალაქში, სადაც შესაძლებელია საყიდლების გაკეთება მთელი კვირისთვის. უცხოელებისთვის, ვინც მიჩვეულია მსოფლიოს მასშტაბით წელიწადის ნებისმიერ დროს ნებისმიერი პროდუქტების ხელმისაწვდომობას, ასეთ "მარტივ ცხოვრებასთან" შეგუებამ შესაძლოა გარკვეული დრო დაიკავოს. აქ არ არის გამორიცხული წყლისა და ელექტრომომარაგების შეფერხებები.

ზუგდიდი ცნობილია თავისი ნოტიო კლიმატით. ზაფხულობით, ტემპერატურა ხშირად 40 გრადუსამდე ადის და ქალაქი დროებით გიგანტურ ტროპიკულ საუნას ემსგავსება. ეს ამძაფრებს განცდას, რომ ზუგდიდი მართლაც განსხვავებულია.

როგორც დიდი მეგობრული ოჯახი

ამ ელემენტების კომბინაცია დასავლეთ საქართველოში მუშაობას ოდნავ უფრო ართულებს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ოფისის თანამშრომლებს უფრო აახლოვებს.

ამრიგად, ატმოსფერო ოფისში ოჯახურს გავს. ნებისმიერი ამინდის პირობებში, კოლეგები დილიდან გვიან ღამემდე პატრულირებაზე ერთად მიდიან და ზოგჯერ მათ ღამით პატრულირებისას დაბანაკებაც უწევთ. ისინი ერთად ფრენბურთს თამაშობენ, ფეხბურთს უყურებენ, თავისუფალ დროს ერთად მოგზაურობენ. ზოგიერთი ერთად საუზმობს კიდეც. ამიტომაც, ბევრი დამკვირვებელი ასევე მუდმივად მოიხსენიებს რეგიონალურ ოფისს, როგორც „საოჯახო რეგიონალურ ოფისს“.

ადრეულ დღეებში

2008 წლის აგვისტოში, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის გუნდს ზუგდიდის რეგიონალური ოფისის შექმნა დაევალა, რომელიც, თავდაპირველად „ზუგდიდის ჰილტონად“ ხუმრობით მოხსენიებულ სასტუმრო „სამეგრელოში“ მდებარეობდა; ასევე რეგიონალური ოფისი იყო სანაპირო ქალაქ ფოთშიც. ორივე ოფისი ახლადშექმნილ მისიას გადაეცა, როდესაც 2008 წლის 1 ოქტომბერს დამკვირვებლები ჩამოვიდნენ. ფოთის ოფისი თითქმის მყისიერად გადავიდა ხაშურში და იქ 2009 წლის 14 სექტემბრამდე მუშაობდა.

ამის შემდეგ, 2008 წლის შობის დღესასწაულამდე რეგიონალური ოფისები გადავიდა ამჟამინდელ მისამართზე ზუგდიდში მეუნარგიას ქუჩაზე. ერთ დროს ოჯახის საცხოვრებელი სახლი დღეს 49 საერთაშორისო და 19 ადგილობრივ თანამშრომელს მასპინძლობს. ოფისი 11 ოთახისგან, დამატებითი ნაგებობებისგან და 14 კონტეინერისგან შედგება.

2008 წლიდან, ზუგდიდის რეგიონალურმა ოფისმა დასავლეთ საქართველოში 16,000-ზე მეტი პატრულირება ჩაატარა.

რეგიონალური ოფისის დედა

"პანამა" პატარა რესტორანია, რომელიც ოფისთან მდებარეობს. ამ ადგილს მართავს ნუნუ, ქალაქში ყველაზე კეთილგანწყობილი ქალბატონი. იგი ამზადებს საუზმეს, სადილს და ვახშამს დამკვირვებლებისთვის, მასპინძლობს სატელევიზიო საფეხბურთო ტურნირებს, დაბადების დღეებსა და გაცილებების წვეულებებს. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც წლების განმავლობაში დამკვირვებლების უმრავლესობის ჩამოსვლა და წასვლა უნახავს. რესტორნის კედლებს ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის დროშები ამშვენებს როგორც მოგონება იმ 335 დამკვირვებლის შესახებ, ვინც ზუგდიდში 2008 წლიდან მუშაობდა.



ეს არის.....

დასავლეთ საქართველო

დასავლეთ საქართველო მდებარეობს დასავლეთ აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის გზაჯვარედინზე, დასავლეთიდან ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთიდან - რუსეთის ფედერაცია, სამხრეთიდან - თურქეთი. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის რეგიონალური ოფისის პასუხისმგებლობის ზონა მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს.

რაიონები

დასავლეთ საქართველო ხუთი ადმინისტრაციული რაიონისგან შედგება, ეს არის 69,700 კმ², საქართველოს სახმელეთო ტერიტორიის 40%, რაც ირლანდიის ზომისაა და მისი მოსახლეობის 40%-ზე ოდნავ მეტია.

კლიმატი

დასავლეთ საქართველოს კლიმატი მთელი წლის განმავლობაში შედარებით თბილია. ზაფხულში შავი ზღვის სანაპიროზე ტემპერატურა 43°C -მდე შეიძლება აიწიოს და ტენიანობაც მაღალია. მთის ძირში და მაღალმთიან რაიონებში გრილი, წვიმიანი ზაფხულები და თოვლიანი ზამთრებია.

ენები

დასავლეთ საქართველო, ისევე როგორც კავკასიის უმეტესი ნაწილი, ეთნიკური ჯგუფებისა და ენების მრავალფეროვნებით ხასიათდება.

რეგიონში ქართველური (სამხრეთკავკასიური), ჩრდილოდასავლური და ჩრდილოკავკასიური ენების გარდა გავრცელებულია ენები სხვა ენობრივი ოჯახებიდან, როგორიცაა ინდოევროპული და თურქული.

სამხრეთკავკასიური ენების პატარა ჯგუფიდან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ქართული, ხოლო აფხაზური ჩრდილოდასავლურ კავკასიურ ენებს მიეკუთვნება.

დასავლეთ საქართველოს რეგიონები

რაიონი	დედაქალაქი	მოსახლეობა	ტერიტორია
იმერეთი	ქუთაისი	533,906	6,475 კმ²
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	362,760	7,440 კმ²
გურია	ოზურგეთი	113,221	2,033 კმ²
აჭარა *)	ბათუმი	336,077	2,880 კმ²
აფხაზეთი **)	სოხუმი	242,862	8,660 კმ²
სულ		**1,588,826**	**27,488 კმ²**

დასავლეთ საქართველოს რეგიონები

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის რეგიონალური ოფისის დამკვირვებლები პატრულირებაზე პასუხისმგებლობის ზონის ჩრდილოეთ ყველაზე შორს მდებარე მთიან ნაწილში.

ევროპის მეორე უმაღლესი მწვერვალი

დასავლეთ საქართველოში მდებარე 5,201 მ. სიმაღლის მთა შხარა, რომელიც არის ყველაზე მაღალი მთა საქართველოში და სიმაღლით მეორე ევროპაში, რუსეთში მდებარე იალბუზის (5,642 მ) შემდეგ წინ უსწრებს მონბლანს, უმაღლეს მთას დასავლეთ ევროპაში (4,810 მ).

2009 წლის თავდასხმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაზე

2009 წლის 21 ივნისს მოხდა ორი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქება, რის შედეგადაც დასავლეთ საქართველოში პატრულირებაზე მყოფი მისიის სამი მანქანის კოლონა დაზიანა. შუა, დაუჯავშნავი სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლი, რომელიც დამკვირვებლებს თან ახლდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ იგი მიღებული ჭრილობებისგან მალე გარდაიცვალა. მისიის ერთ-ერთი ჯავშანმანქანა უმნიშვნელოდ დაზიანდა.

*) საქართველოს კონსიტუციით - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

**) საქართველოს კონსიტუციით - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. 1992 წლის 23 ივლისიდან - თვითგამოცხადებული რესპუბლიკა.

დასავლეთ საქართველოს გამყოფი 148 კილომეტრი

148 კილომეტრიანი ადმინისტრაციული საზღვარი დასავლეთ საქართველოში ყოფს აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რეგიონს საქართველოს დანარჩენი ნაწილისგან (თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორია).

ადმინისტრაციული საზღვარი სამხრეთით შავი ზღვიდან ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაციის საზღვრამდე ვრცელდება.

33 კილომეტრი მდინარე ენგურს მიჰყვება.

ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე პატრულირებას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის რეგიონალური ოფისის დამკვირვებლები ახორციელებენ. ტერიტორია სამ ნაწილად დაიყო: სამხრეთ ალფა სექტორი (38 კმ), ცენტრალური ბრავო სექტორი (21 კმ) და ჩრდილოეთ ბრავო + სექტორი (89 კმ).

2017 წლის მარტიდან, აქ მხოლოდ ორი კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტია, ორივე სამხრეთ და ცენტრალურ სექტორებში მდებარეობს.

ენგურის ხიდი, რომელიც 2016 წელს გარემონტდა, არის ერთადერთი კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტი, სადაც შესაძლოა მანქანით გადაკვეთა.

გარდა ამისა, არსებობს უამრავი ხშირად გამოყენებადი უკონტროლო გადაკვეთის პუნქტები მთელი ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ.

თვითგამოცხადებულ რეგიონთან დამაკავშირებელი ერთადერთი სარკინიგზო ხაზი მდინარე ენგურზე მდებარე შამგონას სარკინიგზო ხიდი იყო. ხიდი 1992-93 წლებში დაანგრიეს და სარკინიგზო მიმოსვლა აღარ განახლებულა.



მდინარე ენგური
მდინარე ენგური სათავეს ჩრდილო-აღმოსავლეთ სვანეთში კავკასიონის ქედიდან იღებს და ზუგდიდის სამხრეთით შავ ზღვაში ჩაედინება. იგი 213 კმ სიგრძისაა და ჰიდროელექტრო ენერგიის მოწოდებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ენგურის ხიდი
870-მეტრიანი ენგურის ხიდი გერმანელმა ტყვეებმა 1944-1948 წლებში ააშენეს. ეს არის ერთადერთი ავტომანქანებით გადაკვეთის პუნქტი თვითგამოცხადებულ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის.

ენგურის კაშხალი
ენგურის კაშხალი მსოფლიოში მეოთხე უმაღლესი ბეტონის თაღოვანი კაშხალია, რომლის სიმაღლე 271,5 მეტრია. 728 მეტრის რადიუსში ეს არის კავკასიაში ყველაზე დიდი კონსტრუქცია.

შამგონას სარკინიგზო ხიდი
შამგონას მონუმენტური სარკინიგზო ხიდის ნაშთები სოხუმსა და თბილისს შორის დამსხვრეული ურთიერთობების კარგი ილუსტრაციაა.

2017 წლის 5 მარტს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ დახურული გადაკვეთის პუნქტები.

ენგურის კაშხალი უზრუნველყოფს...

ხალხს ენერგიით

ენგურის ჰიდროელექტრო კაშხალი დაბა ჯვარში მდინარე ენგურზე მდებარეობს. იგი უზრუნველყოფს ელექტროენერგიით აფხაზეთის ქსელს და გამოიმუშავებს საკმარის სიმძლავრეს, რომ დანარჩენი საქართველო მისი მოხმარებისთვის საჭირო ელექტროენერგიის ნახევრით უზრუნველყოს.

სავსე წყალსაცავის მაქსიმალური ტევადობა 1,1 მილიარდი კუბური მეტრია და შეუძლია საათში 1,320 მეგავატი გამოიმუშავოს.

მშენებლობა 1961 წელს დაიწყო. კაშხალი ნაწილობრივ 1978 წელს ამუშავდა და 1987 წელს დასრულდა. ლამაზი თაღოვანი ბეტონის კაშხალი არის მსოფლიოში სიმაღლით მეოთხე - 271,5 მეტრი.

728 მეტრის რადიუსში ეს არის კავკასიაში ყველაზე მასიური კონსტრუქცია.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობები როგორც აფხაზეთის, ასევე თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არის განლაგებული. თაღოვანი კაშხალი მდებარეობს თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე ზემო სვანეთში, ხოლო ელექტროსადგური მდებარეობს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გალის რაიონში. კაშხალი და ელექტროსადგური ერთობლივად იმართება ორივე ტერიტორიაზე მცხოვრებ თანამშრომელთა მიერ.

- **1999 წელს,** ენგურჰესმა გადაუდებელი რემონტისთვის მიიღო დიდი საერთაშორისო სუბსიდიები, მათ შორის 9.4 მილიონი ევრო ევროკომისიისგან.
- **2011 წელს,** ევროპის საინვესტიციო ბანკმა გასცა 20 მილიონი ევროს სესხი, რათა დასრულებულიყო ჰესის რეაბილიტაცია და უზრუნველყოფილიყო წყლის უსაფრთხო ევაკუაცია შავი ზღვისკენ.
- **2015 წელს,** ენგურის კაშხალი საქართველოს ყველაზე გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიას დაემატა, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ქვეყნის ინდუსტრიული სიმძლავრის განვითარების მიზნით "ენგურჰესის თაღოვან კაშხალს" ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის რეგიონალური ოფისი ხშირად ატარებს პატრულირებას ადმინისტრაციულ საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე, ენგურის კაშხლის ჩათვლით.

ადმინისტრაციული საზღვრის სხვადასხვა მხარეებს შორის ვაჭრობის სწრაფი აღმავლობა

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში აკრძალულია საკვები პროდუქტების და სამრეწველო საქონლის იმპორტი და ექსპორტი, მოთხოვნა ადმინის-ტრაციული საზღვრის ორივე მხარეზე ხელს უწყობს ვაჭრობის სწრაფ აღმავლობას ადმინისტრაციული საზღვრის სხვადასხვა მხარეებს შორის. ადმინისტრაციული საზღვრის სხვადასხვა მხარეებს შორის ვაჭრობა მოგებაზეა მიმართუ-ლი და საქონელი უფრო მაღალი გადახდის ბაზრებზე გადადის.

ვაჭრობისას ძირითადი საქონელი ხილი და ბოსტნეულია. ეს საქონელი სეზონურია და ამიტომ ვაჭრობა პიკს ზაფხულის თვეებში აღწევს. თხილი აფხაზეთიდან ყველაზე უფრო ექსპორტირებადი პროდუქტია, ხოლო ხილი, კენკრა და ბოსტნეული ყველაზე უფრო იმპორტირებადი. შეინიშნება, რომ ყოველდღიურად რეგულარულად მხოლოდ ერთი კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტის გავლით აფხაზეთში 3000 კგ პროდუქი შედის.

აფხაზეთის ფარგლებს გარეთ
ბევრი პროდუქტის საბოლოო დანიშნულების ადგილია ბაზრები აფხაზეთის ძირითად ქალაქებში, მაგრამ პროდუქტი ასევე აფხაზეთის ფარგლებს გარეთ გადის. ღია წყაროები მიუთითებს, რომ გალის ბაზარზე ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 70% იმპორტირებულია თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორიიდან. 2014 წელს მედიის შეფასებით, ყოველწლიურად აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მეორე მხრიდან შემოსული იმპორტის ღირებულება 58 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

წვრილი ვაჭრობა
მიუხედავად დაბრკოლებებისა, ადგილობრივი კონტაქტები ქართველებსა და აფხაზებს შორის იზრდება. ყოველ დღე, რამდენიმე ათასი ადამიანი კვეთს მდინარე ენგურს, ბევრი იმისთვის, რომ აფხაზეთში ნაწარმი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ასევე წამლები და სამედიცინო აღჭურვილობა გაყიდოს.

პირობითი პრაქტიკა
აფხაზეთში გადამსვლელებს შეუძლიათ საქონელი გადაიტანონ, მაგრამ ხშირად, დიდი რაოდენობის საქონლის არსებობისას, არის მოთხოვნა, რომ მათ იმპორტის მოსაკრებელი გადაიხადონ. აფხაზეთის დე-ფაქტო მესაზღვრეების მიერ აღებული საბაჟო გადასახადები და ექსპორტის მოსაკრებელი სეზონისა და სხვა ფაქტორების მიხედვით განსხვავდება.

ყოველწლიურად ზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით ათობით ათასი ტონა თხილი იკრიფება.

ყოველწლიურად ახლად მოკრეფილი თხილი თხილის მეურნეობებიდან უფრო მაღალი გადახდის ბაზრებზე გადადის.

თხილი - მრავალი მილიარდი ევროს ღირებულების ინდუსტრია

საქართველო მდებარეობს ისეთ კლიმატურ ზონაში, სადაც არის ხელსაყრელი პირობები თხილის მოსაყვანად შავი ზღვის სანაპიროზე. თხილის მოყვანა არის დიდი ბიზნესი საქართველოში, ამ საქმეში ჩართული ათასობით ფერმერი დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრის ფასებზე.

სავარაუდოდ, მოთხოვნა გაიზრდება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს აქვს კარგი შანსი, გახდეს მსოფლიოში თხილის მომწოდებელი 3 მთავარი ქვეყნიდან ერთ-ერთი თურქეთისა და იტალიის შემდეგ.

საქართველოს თხილის წლიური წარმოების 37,000 ტონა (2014) უმეტესი ნაწილი მიდის საკონდიტრო საწარმოებში, სადაც უდიდესი წილი იტალიურ ფერეროს (Ferrero) აქვს. ფერერო თავისი ცნობილი ნუტელას (Nutella) და ფერერო როშეს (Ferrero Rocher) საწარმოებლად მსოფლიოს თხილის მიწოდების ¼ ყიდულობს.

თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორიიდან აფხაზეთში შემავალი პროდუქცია
მაშინ, როდესაც აფხაზეთში თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორიიდან კომერციული საქონლის შეტანისას თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანა შეუფერხებლად ხდება, იგი არ შეიძლება კანონიერად იყოს იმპორტირებული აფხაზეთში შეზღუდვების ან საბაჟო გადასახადების გარეშე.



აფხაზეთიდან თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორიაზე გამავალი პროდუქცია
მაშინ, როდესაც აფხაზეთი-დან თბილისის მიერ ადმინი-სტრირებულ ტერიტორიაზე კომერციული საქონლის ექსპორტიორებს უმეტეს შემთხვევაში მოეთხოვებათ გადაუხადონ ექსპორტის გადასახადები აფხაზეთის დე-ფაქტო სასაზღვრო წარ-მომადგენლობას, შესაძლებე-ლია აფხაზეთიდან თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე საქონლის შეუფერხებლად შეტანა.

გადაკვეთა სამედიცინო მიზნით

როგორ ხდება ეს?

საქართველოს რესპუბლიკა თავის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ყველა მოქალაქეს ჯანდაცვითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფს. შესაბამისად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რეგიონების მაცხოვრებლებს შეუძლიათ მიიღონ სრულად ან ნაწილობრივ უფასო სამედიცინო მომსახურება თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე. ამ მიზეზის გამო და გარკვეული სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რომელიც აფხაზეთში მიუწვდომელია, პაციენტები ადმინისტრაციულ საზღვარს გადაკვეთენ.

სასწრაფო დახმარების მანქანას თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორიიდან ნაბაკევი / ხურჩის კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტში აჰყავს პაციენტი აფხაზეთიდან სამედიცინო მიზნით გადაკვეთის შემდეგ.

მოქმედი სამგზავრო საბუთებით სამედიცინო მიზნით გადაკვეთა

მაგალითი

1 65 წლის აფხაზი მამაკაცი დაავადებულია დიაბეტით და მკურნალობას საჭიროებს. პაციენტს მოქმედი სამგზავრო საბუთები გააჩნია.

2 გადასვლის კოორდინაციისთვის, აფხაზეთის ამბულატორია თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე განლაგებულ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას უკავშირდება, სადაც პაციენტმა უნდა იმკურნალოს.

3 ქალაქის ამბულატორიის სამედიცინო პერსონალს პაციენტი სახლიდან ერთ-ერთ კონტროლირებად გადაკვეთის პუნქტში გადაყავს.

4 აფხაზეთის საგუშაგოზე, აფხაზეთის დე-ფაქტო მესაზღვრე ამოწმებს პაციენტის საბუთებს, სანამ მას ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის ნება დაერთვება. ამ შემთხვევაში, თუ პაციენტს გადაადგილება შეუძლია, ნებისმიერი გადაკვეთის პუნქტი შეიძლება იქნას გამოყენებული. თუ პაციენტი სასწრაფო დახმარების მანქანით არის მოყვანილი, შეიძლება იყოს გამოყენებული მხოლოდ კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტი ენგურის ხიდზე.

5 გადაკვეთის შემდეგ პაციენტს თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე სასწრაფო დახმარების ბრიგადა ხვდება და იგი სამკურნალო დაწესებულებაში, ამ შემთხვევაში ზუგდიდის საავადმყოფოში, გადაყავს.

სამედიცინო მიზნით გადაკვეთისთვის სამგზავრო საბუთების მიღება

იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს არ გააჩნია მოქმედი სამგზავრო საბუთი, მან აფხაზეთის დე-ფაქტო ადგილობრივ ხელისუფლებას ე.წ. ფორმა # 9-ის მისაღებად უნდა მიმართოს. ეს ფორმა პირის ვინაობას და მისამართს ადასტურებს და გაიცემა სამედიცინო მიზეზების გამო ფორმა No. 100-ის წარდგენის შემდეგ. ეს არის აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, რომელიც თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე მკურნალობის ან ჯანდაცვის საჭიროებას ადასტურებს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ხელს უწყობს სამედიცინო მიზნით გადაკვეთას

გადაუდებელ შემთხვევებში, აფხაზეთის დე-ფაქტო მესაზღვრეს შეუძლია დაუკავშირდეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეკავშირე ოფიცერს სატელეფონო ცხელი ხაზის საშუალებით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეკავშირე ოფიცერი შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურს უკავშირდება, რომელიც თავის მხრივ ამ საქმეში ჩართავს საქართველოს შესაბამისი ჰოსპიტალის განყოფილებას - სასწრაფო დახმარების მანქანის ენგურის ხიდზე კონტროლირებად გადაკვეთის პუნქტში გასაგზავნად. აქ პაციენტს ერთი სასწრაფო დახმარების ბრიგადა მეორეს გადასცემს და მას დაუყოვნებლივ გადაიყვანენ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე.

უკიდურეს შემთხვევაში სასწრაფო დახმარების მანქანა თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორიიდან უფლებამოსილია, ექსკორტის ქვეშ შევიდეს აფხაზეთში და პაციენტი აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებიდან წამოიყვანოს.

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ამჟამად ევროკავშირის ერთადერთი მოქმედი მისიაა, რომელიც სპეციფიურად დაკვირვებაზეა მიმართული. მისი მერვე მანდატის გაგრძელების შემდეგ ევროპის საბჭო და ევროკავშირი შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უნდა გაგრძელდეს 2016 წლის 14 დეკემბრამდე. 2015 წლის იანვრიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი არის კიასტუტის იანკაუსკასი (ლიტვა). ადრე ამ თანამდებობაზე მოღვაწეობდნენ ტოივო კლაარი (ესტონეთი), ანდჟეი ტიშკევიჩი (პოლონეთი), და ჰანსიორგ ჰაბერი (გერმანია).

ამ პერიოდულ გამოცემას საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია გამოსცემს
- კონტაქტი: press@eumm.eu
- ჯონ დურნინი, პრესსპიკერი: john.durnin@eumm.eu
- ჰასსე რესენბრო, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი: hasse.resenbro@eumm.eu

იხილეთ: http://www.eumm.eu & www.facebook.com/eumm.geo

გადაკვეთა სკოლის მოსწავლეების მიერ

პრაქტიკული მიზეზების გამო, მშობლებს ხშირად ურჩევნიათ, რომ მათმა შვილებმა სკოლამდე უმოკლესი გზით იარონ. ეს ასევე ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მცხოვრებ ოჯახებსაც ეხება. ამის შედეგად, მეორე მხარეს არსებულ სკოლაში და საბავშვო ბაღში წასასვლელად ბავშვები ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხრიდან მას ყოველდღიურად კვეთენ.

ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეზე მცხოვრები მოსახლეობისთვის უსაფრთხო და ნორმალური ცხოვრების აღდგენის ხელშეწყობა მისიის მანდატის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს.

მოსწავლეები ირჩევენ უმოკლეს და ყველაზე მოსახერხებელ გზას სკოლში მისასვლელად, რაც მათთვის და მათი ოჯახებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ამიტომაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ხელს უწყობს ბავშვთა და მოზარდთა შეუფერხებელ და ადვილ გადასვლას სკოლაში წასასვლელად ან დასაბრუნებლად ადმინისტრაციული საზღვრის მეორე მხარეზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან შემცირდა გადასვლები საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისასვლელად, ყოველდღიურად 60-მდე სკოლის მოსწავლე კვლავაც გადმოდის აფხაზეთიდან თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე და პირიქით გადაკვეთის სხვადასხვა პუნქტის გამოყენებით. მისია აკვირდება და თვალს ადევნებს ნებისმიერ დარღვევებს, რომელიც დაკავშირებულია მოსწავლეების სკოლაში სიარულთან და კავშირი აქვს პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.

რთული ურთიერთობები

დასავლეთ საქართველოზე ძლიერ გავლენას ახდენს მძიმე და რთული ურთიერთობა ადმინისტრაციული საზღვრით გაყოფილ მეზობელ ტერიტორიებთან. დასავლეთ საქართველოს ისტორია დოკუმენტურად ასახავს დაძაბულობისა და კონფლიქტის თაობებს. 2008 წლიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მუშაობს მეზობლებს შორის ნდობის აღსადგენად და დაძაბულობის შესამცირებლად. ასეთია კონფლიქტის სათავეები.

რუსეთის რევოლუციის შემდეგ

- **1918 წლის რუსეთის დამანგრეველი სამოქალაქო ომის შემდეგ,** რომელიც რუსეთის 1917 წლის რევოლუციებს მოჰყვა, საქართველო მხარს უჭერს ანტიბოლშევიკურ თეთრ არმიას, ხოლო აფხაზეთი - ბოლშევიკურ წითელ არმიას.
- **1918 წლის მაისში,** რევოლუციის შემდეგ, შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც აფხაზეთსაც მოიცავდა და იწყება საქართველოს პირველი კონსტიტუციის შედგენა.
- **1920** წელს ანტიბოლშევიკები დამარცხდნენ, რასაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) შექმნა მოჰყვა.
- **1921** წელს მიღებული იყო საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელიც აფხაზეთის ავტონომიას უზრუნველყოფდა.

- **იმავე წელს,** საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მყარდება და იგი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (სსრ) ყალიბდება. წითელი არმიის მხარდაჭერის გამო აფხაზეთი იღებს აფხაზეთის სსრ სტატუსს, მაგრამ ეს არის საქართველოს სსრ-სთან ასოცირებული, ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი რესპუბლიკის ბუნდოვანი სტატუსი.
- **1931 წელს,** იოსებ სტალინი (დაბადებული 1878 წლის 18 დეკემბერს გორში, საქართველო) აქვეითებს აფხაზეთის სსრ-ის სტატუსს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (ასსრ) სტატუსამდე. სტალინის სიკვდილის შემდეგ, აფხაზეთის ასსრ რჩება ერთადერთ ავტონომიურ რესპუბლიკად საბჭოთა კავშირში, სადაც ენა (აფხაზური) კონსტიტუციით მის ერთ-ერთ ოფიციალურ ენად არის აღიარებული.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საინფორმაციო შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან ქმნის ...

საყოველთაოდ მომგებიან სიტუაციას

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის რეგიონალური ოფისი დასავლეთ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებთან 50-ზე მეტ საინფორმაციო შეხვედრას თავმჯდომარეობდა. "ეს შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ასევე ჩვენთვის. ეს მართლაც საყოველთაოდ მომგებიანი სიტუაციაა", აცხადებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის რეგიონალური ოფისის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის უფროსი კრის ტეილორი.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საინფორმაციო შეხვედრები

- 50-ე შეხვედრა 2016 წელს გაიმართა
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ შეხვედრების მასპინძლობა 2009 წელს დაიწყო
- მონაწილეობს სამეგრელოს, აჭარის, იმერეთისა და აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციები
- თითოეულ შეხვედრაზე დაახლოებით 20 მონაწილეა, ყოველთვის მივესალმებით ახალ მონაწილეებს
- შეხვედრები ყოველ 6-8 კვირაში ზუგდიდის სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის შენობაში ტარდება
- შეხვედრა 11:00 საათზე იწყება და მონაწილეებისთვის გათვალისწინებულია სადილი
- შეხვედრა ორი თარჯიმნის მიერ ქართულ და ინგლისურ ენებზე სრულად ითარგმნება
- წარმოადგენს უნიკალურ ფორუმს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დასავლეთ საქართველოში დაკვირვებასთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაციის მისაღებად
- ხშირად ესწრება არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი სტუმარი მომხსენებელი
- დაცულია ჩატემ ჰაუსის წესები.

შეხვედრების მიზანს მისიისა და დასავლეთ საქართველოს ძლიერ და აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას შორის ინფორმაციის გაზიარება წარმოადგენს. "ჩვენ ვუზიარებთ ჩვენს დასკვნებს და შენიშვნებს მონაწილეებს და ისინი გვაცნობენ თავის პრიორიტეტებს, შედეგებს და საჭიროებებს. შეხვედრები ასევე ქმნის პირდაპირი კავშირების დამყარების უნიკალურ შესაძლებლობას დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, ისევე როგორც საფუძველს ორმხრივი საკითხების განსახილველად", განმარტავს კრის ტეილორი.

არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო წარმომადგენლობა

ზუგდიდის, ქუთაისის, ფოთის და ბათუმის 35-40 სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მოწვეულნი არიან შეხვედრებზე, რომელიც ყოველი ექვსი - რვა კვირის პერიოდულობით ზუგდიდში იმართება.

როგორც წესი, თითოეულ შეხვედრას 15-18 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, დაახლოებით 20 მონაწილე ესწრება და ზოგჯერ არიან წარმომადგენლები აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. შეხვედრას ასევე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის (UNHCR) და საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის (ICRC) წარმომადგენლებიც ესწრებიან.

მოწვეულნი არიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები

"ჩვენი შეხვედრები ღიაა და ჩვენ მივესალმებით დაინტერესებული ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, ისევე, როგორც აფხაზეთის მთავრობას დევნილობაში.

ჩვენ ასევე მოსასვლელად და სასაუბროდ ვიწვევთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ხშირ შემთხვევაში ისინი მოდიან. ფაქტობრივად, ოფიციალური პირები, როგორც ჩანს, ჩვენი შეხვედრების კონტექსტში უფრო თავისუფლად საუბრობენ და აუდიტორია მათ ყოველთვის ბევრ კითხვებს უსვამს, რადგანაც არასამთავრობო ორგანიზაციები გამჭვირვალობას აფასებენ.

და ბოლოს, ინფორმაციის გავრცელება ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი პროექტისთვის, ასე რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ამ შეხვედრებს ასევე მათი მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებენ", ამბობს კრის ტეილორი, რომელიც 2014 წლიდან ამ შეხვედრებს რეგულარულად თავმჯდომარეობს.

საინფორმაციო შეხვედრები საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის (UNOMIG) მიერ 2002 წელს იყო ინიცირებული. 2009 წლის ზაფხულში გაეროს დამკვირვებელთა მისიის დასრულების შემდეგ ამ შეხვედრებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია თავმჯდომარეობს.

მარცხნიდან: ზუგდიდის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელი, გაბრიელ ფონ ჰორნი, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, ერიკ ჰოგი და ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის უფროსი კრის ტეილორი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთ საინფორმაციო შეხვედრაზე განხილვას ესწრებიან.

დამკვირვებელი, გამოცემა #2, აგვისტო 2016
„დამკვირვებელის“ ეს გამოცემა ეძღვნება დასავლეთ საქართველოს, იქ არსებულ ადმინისტრაციულ საზღვარს და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის რეგიონალურ ოფისს. მთავარი რედაქტორი: ჯონ დურნინი. სარედაქციო კოლეგია: ჰასსე რესენბრო, სანნე ბიესმანსი, ჯულიო სავინა და კაუპო კანდი.